

აზიის განვითარების ბანკის
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორს
ქალბატონ იეშიმ ელჰან კაილარს

ასლი:

აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი
წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს
ბატონ მედგარ ჭელიძეს

თარიღი: 29 ივნისი, 2016 წელი

ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე #2-ში,
„ხიდშენის“ ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში მცხოვრებთა, საჩივარი

ჩვენი, ქვემოთ ხელმომწერთა საცხოვრებელი სახლები მდებარეობს ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე #2-ში, „ხიდშენის“ ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში. ჩვენ ვექვევით თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მე-2 მონაკვეთის) პროექტის ზეგავლენის ქვეშ. პროექტის გამო, ჩვენ გვიწევს იძულებით განსახლება.

მოგახსენებთ, რომ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, 2001 წლიდან ვცხოვრობთ აფხაზეთიდან დევნილი ოთხი ოჯახი. ამის დასადასტურებლად ჩვენ გვაქვს ნოტარიულად დამტკიცებული განცხადება, სადაც ჩვენი მეზობლები ამას ოფიციალურად ადასტურებენ (იხ. დანართი #1). ამასთან, აღნიშნული საცხოვრებელი სახლები ჩვენი ერთადერთი ფაქტობრივი საცხოვრებელია, რომლის დაკანონება 2001 წლიდან დღემდე, არაერთხელ ვცადეთ, თუმცა, უშედეგოდ. ამის გამო, მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში - მფგ) ჩვენ როგორც მესაკუთრეებს არ გვადიარებს, შესაბამისად, ფონდი, განსახლების სანაცვლოდ, არც ფულად კომპენსაციას და არც ბინებს/საცხოვრებელ სახლებს არ გვთავაზობს. ქვემოთ, უფრო დეტალურად მოგახსენებთ ამ სადავო საკითხის შესახებ.

პირველად დაგეგმილი პროექტის შესახებ 2013 წლის ზაფხულში მფგ-ს წარმომადგენლებისგან შევიტყვეთ. ისინი გვეწვიენ და მოგვაწოდეს ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ; ასევე, ამავე შეხვედრაზე დაგვიბრძნენ, რომ პროექტისგან დაზარალებული არავინ დარჩებოდა.

2013 წლის ზაფხულშივე ჩვენთან კვლავ მოვიდნენ მფგ-ის წარმომადგენლები და შეგვავსებინეს ფორმები, სადაც გვთხოვდნენ, გამოგვეთქვა აზრი კომპენსაციის ფორმის თაობაზე - რომელს ვამჯობინებდით - თანხის, თუ ბინის მიღებას. ფორმების შევსებისას ოთხივე ოჯახმა ერთობლივად მოვნიშნეთ თანხობრივი კომპენსაცია. ამავე შეხვედრაზე გვითხრეს, რომ ჩვენ, როგორც მესაკუთრეები, აღიარებულნი ვართ და კომპენსაციასაც მოგვცემდნენ. გარდა ამისა, გვითხრეს, რომ შეხვედრის შემდეგ აუდიტის სამსახური მოვიდოდა და ჩვენ ქონებას შეაფასებდა.

მართლაც, შეხვედრიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, მოვიდნენ მფგ-ის მიერ დაქირავებული აუდიტორები, რომელთაც აზომვითი სამუშაოები ჩაატარეს, სახლს ფოტოები გადაუღეს და წავიდნენ.

2013 წლის აგვისტოში, ასევე, მოვიდნენ აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები. მათ ვიზუალურად დაათვალიერეს მიმდებარე ტერიტორია, თუმცა ჩვენ არ გავგსაუბრებთან და არც

რაიმე ინფორმაცია მოუწოდებიათ ჩვენთვის. ამის შემდეგ არც მგფ-სთან და აზიის განვითარების ბანკთან აღარ გვექონია კომუნიკაცია, 2015 წლამდე.

2015 წლის გაზაფხულზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები გვეწვივნენ. მათ ვიზუალურად დაათვალიერეს ტერიტორია და გვითხრეს, რომ ჩვენი შენობა ამ სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა. სამინისტროს წარმომადგენლებს გაუკვირდათ, რომ ჩვენ ამ დრომდე „ხიდშენის“ ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში ვცხოვრობდით; მათი თქმით, ჩვენ გვერიცხებოდა გარკვეული ოდენობის კომპენსაცია და ამდენად, სხვაგან უნდა ვცხოვრობდეთ. ამის დასადასტურებლად მათ გვიჩვენეს დოკუმენტი, სადაც თითოეული ოჯახის წარმომადგენლის სახლზე გარკვეული ოდენობის თანხა იყო მითითებული. ამ გარემოებამ ძალზე გაგვაკვირვა, რადგან არცერთ ჩვენგანს არასდროს მიუღია რაიმე საკომპენსაციო თანხა განსახლებლად. ვერც ის დავადგინეთ, რასთან შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული კომპენსაცია - აფხაზეთიდან ჩვენს იძულებით განსახლებასთან, თუ დაგეგმილი საავტომობილო გზის პროექტის გამო იძულებით განსახლებასთან.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, 2015 წლის სექტემბერში ჩვენ მივმართეთ მგფ-ს, სადაც შევხვდით დავით ბაინდურაშვილს. მან გვითხრა, რომ ინფორმაცია გადმორიცხულ კომპენსაციასთან დაკავშირებით სიცრუე იყო და გვაჩვენა დოკუმენტები, სადაც ჩამოთვლილი იყვნენ პირები, რომელთაც ნამდვილად გაეწიათ კომპენსაცია. ამ ჩამონათვალში ჩვენ, რა თქმა უნდა, არ აღმოვჩნდით. ამასთან, დავით ბაინდურაშვილმა გვითხრა, რომ ჩვენი განსახლების საკითხზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო დაუკავშირდა მგფ-ს; სამინისტროს წარმომადგენელმა მგფ-ს განუმარტა, რომ ჩვენი განსახლების შემთხვევაში, ჩვენ მოგვეცემენ ბინებს ახალაშენებულ კორპუსში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე.

2015 წლის შემოდგომაზე ჩვენთან მოვიდა მგფ-ის წარმომადგენელი დავით არსენიშვილი, რომელმაც გვითხრა, რომ გზის პროექტის გამო იძულებითი განსახლების კომპენსაცია არ გვეკუთვნის და შესაბამისად, არც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო იყო ვალდებული ჩვენი განსახლების საკითხზე ეზრუნა. ზოლოს, ჩვენთან დავას თავი აარიდა და სამინისტროსთან გადაგვამისამართა.

ამის შემდეგ, განსახლების საკითხზე გვექონდა სატელეფონო საუბარი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელთან (სამწუხაროდ, არ ვიცით მისი ვინაობა), თუმცა, მისგან პასუხი ვერ მივიღეთ. სატელეფონო საუბრიდან მოკლე ხანში, 2015 წლის შემოდგომაზე, ჩვენთან მოვიდა ამავე სამინისტროს წარმომადგენელი დავით ბერულავა, რომელმაც გვითხრა, რომ სამინისტრო არ იყო ვალდებული ჩვენთვის კომპენსაცია გადაეხადა; ვინაიდან პროექტს მგფ ახორციელებდა, კომპენსირებაც ფონდის ვალდებულება იყო.

2016 წლის იანვარში ჩვენ კვლავ მივმართეთ მგფ-ს და დავით ბაინდურაშვილს შევხვდით. მან აგვისხნა, რომ ჩვენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში ვცხოვრობდით და შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციას არ მოგვეცემა. ასევე დაამატა, რომ საჭიროების შემთხვევაში, თუ ნებით არ დავტოვებდით სახლს, იძულებით გამოგვასახლებდნენ შენობიდან. შეხვედრის დასასრულს, მან გვაჩვენა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილის წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ გზის გაყვანის შემთხვევაში, მგფ-ის მიმართვის საფუძველზე,

ერთი თვის ვადაში სამინისტრო თავად უზრუნველყოფდა ჩვენ განსახლებას და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. ამ წერილის ასლი ჩვენც მოგვცეს (იხ. დანართი #2).

2016 წლის იანვარში ჩვენ ასევე მივმართეთ აზიის განვითარების ბანკის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის განსახლების სპეციალისტს მედგარ ჭელიძეს; ავუხსენით ჩვენი სიტუაცია და ვთხოვეთ დახმარება. მედგარ ჭელიძემ გვიჩვენა, რომ 2016 წლის პირველ თებერვლამდე წერილობით მიგვემართა საჩივრების კომისიის თავმჯდომარისათვის ჯუანშერ ბურჭულაძისათვის, ასლი კი, აზიის განვითარების ბანკში გაგვეგზავნა. მისი თქმით, საქართველოში ჩამოსვლას გეგმავდნენ აზიის განვითარების ბანკის სათავო ოფისის წარმომადგენლები, ფილიპინებიდან და კარგი იქნებოდა, თუკი ისინი გაერკვეოდნენ სიტუაციაში. ჩვენ ასევე მოვიქეციით, თუმცა, აზიის განვითარების ბანკიდან დღემდე არავინ დაგვკავშირებია.

2016 წლის ზამთარში კვლავ მოვიდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლები; გვითხრეს, რომ ჩვენი მდგომარეობა შეისწავლეს და დაადგინეს, რომ ჩვენ კომპენსაცია ნამდვილად გვეკუთვნოდა; თუმცა, პასუხი იმაზე, თუ რომელი უწყება აიღებდა ვალდებულებას ჩვენ განსახლებაზე - კვლავ ვერ მივიღეთ.

ამის შემდეგ, ჩვენთან პერიოდულად მოდიოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლები. ისინი, ჩვენი ნებართვის გარეშე, თვითნებურად იჭრებოდნენ ჩვენს სახლებში და ქონებას ფოტოებს უღებდნენ. სამწუხაროდ, ვერ დავადგინეთ მათი ვინაობა - მიუხედავად, არაერთი მოთხოვნისა, მათ თავისი ვინაობა არ გაამჟღავნეს. სახლებში თვითნებურად ყოველ ასეთ შემოჭრაზე, ჩვენ გამოვხატავდით შეშფოთებას და უკმაყოფილებას. პასუხად, შემოჭრილი უცნობები გვპასუხობდნენ, რომ შენობა სახელმწიფოს საკუთრებაა და შესაბამისად, სახელმწიფო უწყების ნებისმიერ წარმომადგენელს უფლება აქვს უნებართვოდ შემოვიდესო.

გარდა ზემოაღწერილი შეხვედრებისა, ჩვენს შესაძლო განსახლებაზე ინფორმაციის მისაღებად, 2016 წლის იანვრიდან დავიწყეთ წერილობითი კომუნიკაცია მგფ-სთან და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან:

1. 2016 წლის 22 იანვარს წერილობითი განცხადებით მივმართეთ მგფ-ს; ასევე, ასლი გაუგზავნეთ აზიის განვითარების ბანკს (იხ. დანართი #3). ჩვენს განცხადებაზე, მგფ-ის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლისაგან ტარიელ გუგავასაგან პასუხად მივიღეთ, რომ ჩვენი საკითხის გადაჭრის ვალდებულება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ აიღო (იხ. 2016 წლის 27 იანვრის წერილი - დანართი # 4).

2. 2016 წლის 1 თებერვალს მივმართეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს. განცხადებაში ვითხოვდით, რომ სამინისტრო ჩვენი უფლებების დაცვაში და ადეკვატური კომპენსაციის მიღებაში. ჩვენს განცხადებაზე, სამინისტროს სოციალურ საკითხთა და განსახლების სამმართველოს უფროსისაგან ლევან სიგუასაგან მივიღეთ პასუხი, რომ სამინისტრო თავის თავზე იღებდა ვალდებულებას, განსახლების პროცესის დაწყების შემთხვევაში, მოეხდინათ ჩვენი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა (იხ. 2016 წლის 11 თებერვლის წერილი - დანართი #5).

ყურადსაღებია, რომ მოგვიანებით, ჩვენთან შეხვედრისას ამავე სამინისტროს წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული უარყვეს და დაამატეს, რომ ლევან სიგუა სამმართველოს უფროსი აღარ არის, შესაბამისად, მის პასუხსაც არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვსო.

დასასრულს, გვსურს, თქვენი ყურადღება გავამხვილოთ შემდეგ გარემოებაზე: როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენ ვართ 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული ადამიანები - დევნილები. ჩვენ მოგვიწია ჩვენი მკვიდრი ადგილების, საცხოვრებელი სახლებისა და ქონების მიტოვება საომარი მოქმედებებისა და აფხაზეთის ოკუპაციის გამო. დევნილობის პერიოდში, სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ უზრუნველავდა ჩვენთვის საცხოვრებელი ადგილის შერჩევასა და სათანადო საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე. 1993 წლიდან 2001 წლამდე, ჩვენ არაერთხელ მოგვიწია საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. 2001 წელს, ჩვენი ძალებით, მოვიძიეთ დასახლების ადგილი - თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე - სადაც ამჟამადც ვცხოვრობთ. პრაქტიკულად დანგრეული შენობა, ჩვენი სახსრებით გავარემონტეთ და მოვიყვანეთ იმ მდგომარეობამდე, რომ შეგვძლებოდა ცხოვრება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაცნობიერებთ თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის გაფართოების პროექტის საჭიროებას და მნიშვნელობას, მაგრამ, ამასთანავე, მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ არ უნდა იქნეს კიდევ ერთხელ უგულებელყოფილი (ამჯერად არა ომის, არამედ ინფრასტრუქტურული პროექტის გამო) ჩვენი უფლებები და ინტერესები.

როგორც ამ საჩივარშია აღწერილი, საკითხის შესწავლისა და განსახლების სანაცვლოდ, ადეკვატური კომპენსაციის მიღების თხოვნით ჩვენ, ქვემოთ ხელმოწერმა მომჩივნებმა, არაერთხელ მივმართეთ როგორც მფ-ს, ისე სხვა სახელმწიფო დაწესებულებებსა და აზიის განვითარების ბანკს, მაგრამ ჩვენი პრობლემა დღემდე მოუგვარებელია. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, დეტალურად განიხილოთ ჩვენზე თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის პროექტის ზეგავლენა. ვითხოვთ, რომ სრულფასოვნად შეფასდეს პროექტის განხორციელებით გამოწვეული ჩვენი დანაკარგები (მათ შორის, ქონების, განსახლების, ადაპტაციის და სხვ. ხარჯები) და შემოთავაზებულ იქნეს შესაფერისი კომპენსაცია.

პატივისცემით,

1. მანანა ჩოფლიანი  ხელმოწერა
სახელი, გვარი
ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი #2, „ხიდშენის“ ყოფილი ადმინისტრაციული შენობა; 558 60 71 00
საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)
2. გულნარა ჩოფლიანი  ხელმოწერა
სახელი, გვარი
ქ. თბილისში, რუსთავის გზატკეცილი #2, „ხიდშენის“ ყოფილი ადმინისტრაციული შენობა; 551 68 18 35
საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)
3. მზევინარ ცალანი  ხელმოწერა
სახელი, გვარი
ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #2, „ხიდშენის“ ყოფილი ადმინისტრაციული შენობა; 595 58 10 09
საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)

4.

ნატრული ქარდავა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

ქ. თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი #2, „ხიდმშენის“ ყოფილი ადმინისტრაციული შენობა; 579 21 38 98
საკონტაქტო დეტალები (მისამართი, ტელეფონი)